საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პერსონალის

კვალიფიკაციის ამაღლების წესი

ზოგადი დებულებები

მუხლი 1

ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, მასწავლებელთა, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის (შემდგომში პერსონალი) მიერ, უნივერსიტეტის აკადემიური და მასწავლებელთა პესონალის განვითარების ცენტრში (შემდგომში ცენტრი) კვალიფიკაციის ამაღლების კურსების, ტრეინინგებისა და სხვა სახის სწავლებების გავლის პირობებს.

მუხლი 2

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) კვალიფიკაციის ამაღლება - პირის მიერ კვალიფიკაციის ამაღლების კურსების გავლა რაც დასტურდება შესაბამისი სერთიფიკატის მიღებით, დადგენილი წესის თანახმად;

ბ) მსმენელი - პირი, რომელიც ამ წესის საფუძველზე გადის კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს, ტრენინგს ან/და სხვა სახის სწავლებას;

გ) კანდიდატი - პირი, რომელსაც ამ წესის შესაბამისად უნივერსიტეტში შემოტანილი აქვს განცხადება კვალიფიკაციის ამაღლების კურსების, ტრეინინგებისა და სხვა სახის სწავლების გავლის შესახებ.

მუხლი 3

ცენტრი სასწავლო წლის განმავლობაში, უნივერსიტეტის ადამიანური კაპიტალის მართვის დეპარტამენტიდან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ახორციელებს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს, რისთვისაც შეიმუშავებს/გადაამუშავებს შესაბამის პროგრამებს (შემდგომში პროგრამა) პროფესიული განვითარების ქვემოთ ჩამოთვლილი ფორმებისათვის:

ა) კვალიფიკაციის ამაღლების კურსი;

ბ) ტრენინგები;

გ) სემინარები და სხვა სწავლებები.

მუხლი 4

ცენტრი:

ა) კვალიფიკაციის ამაღლებისთვის მის მიერ ახლად შემუშავებული პროგრამების პროექტებს წარადგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში განხილვის მიზმით და ითვალისწინებს მის რეკომენდაციებს;

ბ) ახორციელებს ხარისხის სამსახურის მიერ კვალიფიკაციის ამაღლებისთვის რეკომენდირებულ პროგრამებს;

გ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინებით გადამუშავებულ პროგრამებს, წარადგენს აკადემიური საბჭოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

მუხლი 5

ცენტრი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მსნენელის მიერ რეგისტრაციის გავლა;

ბ) დროულად გააცნოს მსმენელს პროგრამის შინაარსი, განხორციელების ვადები და პირობები;

გ) უზრუნველყოს მსმენელისათვის სწავლების ჩატარება პროგრამის შესაბამისად;

დ) მსმენელს შეუქმნას სათანადო პირობები ახალი ცოდნის, უნარ-ჩვევების შესაძენად და ღირებულებების ჩამოსაყალიბებლად;

ე) უზრუნველყოს მსმენელისათვის ტესტირების ჩატარება პროგრამით გათვალისწინებული წესით;

ვ) უზრუნველყოს მსმენელისათვის, რომელმაც წარმატებით გაიარა სასწავლო პროცესი და ტესტირება, სერტიფიკატის მომზადება და გაცემა;

ზ) აწარმოოს კურსდამთავრებულთა და გაცემული სერთიფიკატების აღრიცხვა და მიაწოდოს ინფორმაცია უნივერსიტეტის ადამიანური კაპიტალის მართვის დეპარტამენტს.

მუხლი 6

ცენტრს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს მსმენელებისაგან შინაგანაწესის დაცვა;

ბ) მოითხოვოს მსმენელისაგან მეცადინეობებზე დასწრება და სასწავლო პროცესში აქტიური მონაწილეობა.

მუხლი 7

მსმენელს უფლება აქვს:

ა) ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით;

ბ) ცენტრის ხელმძღვანელის თანხმობით დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს ცენტრის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებსა და შეხვედრებში;

გ) წარმოადგინოს წინადადებები სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით;

დ) ცენტრის თანამშრომლების მხრიდან მისი ან სხვა მსმენელების უფლებების დარღვევისას განცხადებით მიმართოს ცენტრის ხელმძღვანელს/უნივერსიტეტის რექტორს;

ე) ცენტრის ხელმძღვანელის მხრიდან მისი ან სხვა მსმენელების უფლებების დარღვევისას განცხადებით მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს.

მუხლი 8

მსმენელი ვალდებულია:

ა) სწავლების დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი თვისა ცენტრში წარადგინოს შემდეგი საბუთები:

ა.ა) განცხადება;

ა.ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

ა.გ) ქართული და ინგლისურენოვანი CV;

ა.დ.) ინფორმაცია კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროების შესახებ ადამიანური კაპიტალის მართვის დეპარტამენტიდან (მხოლოდ უნივერსიტეტის პერსონალის შემთხვევაში);

ბ) დაიცვას უნივერსიტეტის შინაგანაწესი და ცენტრის მიერ დადგენილი შიდა წესები;

გ) აქტიურად მონაწილეობდეს სასწავლო პროცესში:

გ.ა) ესწრებოდეს მეცადინეობებს;

გ.ბ) აქტიურობდეს გუნდურ მუშაობაში;

გ.დ) დროულად და ხარისხიანად ასრულებდეს დამოუკიდებელ სამუშაოს;

გ.ე.) საჭიროებისას აკეთებდეს შესრულებული სამუშაოს პრეზენტაციას;

გ.ვ.) ასრულებდეს პროგრამით გათვალისწინებულ სხვა აქტივობებს;

გ.ზ.) დროულად გაიაროს ტესტირება;

გ.თ) ტესტირების წარმატებით გავლის შემთხვევაში მიიღოს სწავლების დამთავრების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 9

პირს, რომელიც არ არის უნივერსიტეტის პერსონალი, უფლება აქვს უნივერსიტეტში არსებული წესით გააფორმოს ხელშეკრულება ცენტრის მიერ შეთავაზებული კვალიფიკაციის ამაღლების კურსების, ტრეინინგებისა და სხვა სახის სწავლებების (მათ შორის, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლების ფარგლებში) გასავლელად. აღნიშნული პირი ხელშეკრულებით განსაზღვრული საფასურის გადახდისა და ამ წესის მე-8 მუხლით განსაზღვრული საბუთების წარდგენის შემდეგ ჩაირიცხება ცენტრის მსმენელად და მას ენიჭება ამ წესის მე-7 მუხლით განსაზღვრული მოვალეობები.